ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7303952

ნომერი: AR11068182

თარიღი : 28.11.2024

გაცემის თარიღი : 29.11.2024

გაცნობის თარიღი : 02.12.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ნიკიფორე ირბახის ქუჩა, N 17;

დამკვეთი-განმცხადებელი

- სოფიკო დეკანოზიშვილი პ/ნ 01005013394
- ქ.თბილისი, იოველ ქუთათელაძის ქუჩა N1. ბინა 11.

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 15 ნოემბრის №7287995 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 28 ნოემბერს №AR11068182 განაცხადით მომართა სოფიკო დეკანოზიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის

2024 წლის 15 ნოემბრის №7287995 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2024 წლის 15 ნოემბრის №7287995 ბრძანებით №01.17.01.050.029 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა ოფისის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 15 ნოემბრიდან 2025 წლის 15 მარტის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად. აღნიშნული ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირებულია შპს სასტუმრო მოედანი (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406406811).
წარმოდგენილი განცხადებით, განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2024 წლის 15 ნოემბრის №7287995 ბრძანებაში ცვლილების შეტანას. კერძოდ, დამკვეთად ძველი მესაკუთრის - შპს სასტუმრო მოედანის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406406811) ნაცვლად ახალი მესაკუთრის შპს ჰაივ მოედანის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405731891) დაფიქსირებას.
დღევანდელი მდგომარეობით, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განცხადების რეგისტრაცია: №892024677030; მომზადების თარიღი: 04/11/2024 წ.) სამსახურის 2024 წლის 15 ნოემბრის №7287995 ბრძანებით შეთანხმებული შენობა-ნაგებობის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ჰაივ მოედანი (ს/კ: 405731891). ხოლო, საკადასტრო კოდს -№01.17.01.050.029.07.500.
მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის თანახმად (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B24141598; მომზადების თარიღი: 08/11/2024 წ.), შპს ჰაივ მოედანის (ს/კ: 405731891) ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ნინო ოკრიბელაშვილი. წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი 2024 წლის 21 ნოემბრის №241552850 მინდობილობით დგინდება განმცხადებლის - სოფიკო დეკანოზიშვილის უფლებამოსილება.
საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მიხედვით, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით, სამსახურის 2024 წლის 15 ნოემბრის №7287995 ბრძანებით შეთანხმებული შენობა-ნაგებობის (ს/კ: №01.17.01.050.029.07.500) მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ჰაივ მოედანი (ს/კ: 405731891), რომლის უფლებამოსილი წარმომადგენელი სამსახურს მომართავს დამკვეთის ცვლილების მოთხოვნით, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია ცვლილება შეიტანოს მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში და დამკვეთად დააფიქსიროს შპს ჰაივ მოედანი (ს/კ: 405731891).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის თანახმად,
ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 15 ნოემბრის №7287995 ბრძანებაში და დამკვეთად შპს სასტუმრო მოედანის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 406406811) ნაცვლად დაფიქსირდეს შპს ჰაივ მოედანი (ს/კ: 405731891).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 15 ნოემბრის №7287995 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 15 ნოემბრის №7287995 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.